

საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

დელფინები

დელფინი ერთ-ერთი ყველაზე გონიერი ცხოველია. იგი თითქმის ყველა ზღვასა და ოკეანეში ბინადრობს. დელფინის სხეულის სიგრე 1-3 მეტრია. იწონის 500 კილომდე. აქვს წაგრძელებული დინგი. იკვებება თევზებით, მოლუსკებით. დღეში 25-30 კგ-მდე თევზს ჭამს. საათში 50 კმ სიჩქარით ცურავს. ჰაერით სუნთქავს. საშუალოდ 50 წელს ცოცხლობს.

3-5 წლის დელფინი შობს ერთ ნაშიერს, რომლის სიგრძე დედის სიგრძის ნახევარს უდრის. ახალშობილის სიცოცხლისთვის აუცილებელია ჰაერი. ამიტომ დედას სწრაფად ამოჰყავს იგი წყლის ზედაპირზე. ზოგჯერ ამაში მეორე დელფინი ეხმარება.

დელფინი ფრთხილია. ძილის დროს მას მხოლოდ ცალი თვალი აქვს დახუჭული, რომ მოახლოებული საფრთხე დროზე შენიშნოს.

დელფინები ჯოგებად ცხოვრობენ. ისინი არა მარტო სწრაფი მოცურავეები, არამედ მოხერხებული აკრობატებიც არიან. მაგალითად, ზოლიანი დელფინი წყლიდან სამი მეტრის სიმაღლეზე ამოხტება ხოლმე და ჰაერში შვიდ ბრუნს აკეთებს. ცნობილია, რომ ეს გონიერი ცხოველები სხვა თევზებს თავდაცვაში ეხმარებიან. ადამიანის მიმართ კეთილად არიან განწყობილი. დელფინებს ბევრჯერ გადაურჩენიათ ისინი დახრჩობისა და ზვიგენების თავდასხმისაგან.

მეცნიერები დელფინებს დელფინარიუმებში იკვლევენ. დღეს ზუსტად არის გარკვეული, რომ დელფინის თავის ტვინი 1700 გრამს იწონის. ზრდასრული დელფინი ბგერებით მიღებულ დიდი რაოდენობის ინფორმაციას სწორედ ტვინის საშუალებით ამუშავებს. ისინი ერთმანეთს სიგნალებით „ესაუბრებიან“, რაც ძალიან ჰგავს ადამიანების საუბრის მანერას. თუთიყუშის მსგავსად ამ საოცარ ცხოველს ადამიანის მიერ წარმოთქმული სიტყვების გამეორება შეუძლია.

დელფინების „საუბრის“ უნარის შესასწავლად მეცნიერებმა წყალქვეშა ხმისდამჭერი გამოიყენეს. ხმის დაფიქსირების შემთხვევაში წყალში მყოფი მყვინთავი იმავს იმეორებდა. შემდეგ აკვირდებოდა ზღვის ბინადრის რეაქციას. როგორც გაირკვა, დელფინი მას პასუხს ბგერებით სცემდა. ასე დაზუსტდა გამოცემული ბგერების რაოდენობა. ის 1400 შეადგენს. ცდამ დაადასტურა, რომ ადამიანსა და დელფინს შორის შეგნებული საუბარი შესაძლებელია. ამერიკელი მკვლევრები ამ ახალი გამოგონების გამოცდას ღია ოკეანეში აპირებენ.

მეცნიერებმა ასევე დაადგინეს, რომ დელფინი ბგერებს ღამურის მსგავსად გზის გასაკვლევად და სანადიროდაც იყენებს. ის ნესტოებით გამოსცემს ტკაცუნა ბგერებს. რომელიმე სხეულზე მოხვედრისას ბგერები აირეკლება და ექოს სახით უკან ბრუნდება. დელფინი მათ ყბის რხევით იჭერს. ასე იღებს იგი ახალ ინფორმაციას. მაგალითად, რა მანძილზეა მისგან დაშორებული ესა თუ ის ობიექტი. ამას დელფინი არკვევს იმ დროის მიხედვით, რომელიც ტკაცუნა ბგერის გამოცემასა და ექოს მიღებას შორის გავიდა. შეიძლება ითქვას, რომ დელფინი ბგერების საშუალებით „ხედავს“ და ურთიერთობს თანამომხმეებთან.

დელფინები ადვილად იწვრთნებიან. მაგალითად, მათ ისწავლეს ნაღმების, ჩაძირული გემების აღმოჩენა. ამჟამად იკვლევენ ზოგი სახეობის დელფინის მოშინაურების შესაძლებლობას.

წაკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. ტექსტის პირველი აზრადიდან ვიგებთ:

- ა) რა დანიშნულება აქვს დელფინის დინგს.
- ბ) რატომ არის დელფინი გონიერი ცხოველი.
- გ) სად ბინადრობს და რით იკვებება დელფინი.

2. რა მიზნით ამოკყავს ახალდაბადებული დელფინი დედას წყლის ზედაპირზე?

- ა) დროულად რომ გამოკვებოს.
- ბ) ცურვა რომ ასწავლოს.
- გ) ჰაერი რომ ჩაასუნთქოს.

3. რაში გამოიხატება ადამიანის მიმართ დელფინის კეთილგანწყობა?

- ა) მას არაერთხელ გადაურჩენია ადამიანი დახრჩობისაგან.
- ბ) მას შეუძლია გაიმეოროს ადამიანის მიერ ნათქვამი სიტყვა.
- გ) მისი გაწვრთნა ადამიანს შეუძლია დელფინარიუმში.

4. რაში ეხმარება დელფინებს დიდი ზომის თავის ტვინი?

- ა) ახალშობილი დელფინის წყლის ზედაპირზე ამოყვანაში.
- ბ) დიდი მოცულობის ინფორმაციის გადამუშავებაში.
- გ) წყლიდან ამოხტომასა და ჰაერში ბრუნის გაკეთებაში.

5. მეცნიერებმა ცდით დაადგინეს:

- ა) რა მიზნით გამოსცემს დელფინი ბგერებს.
- ბ) რატომ არის დელფინი ადამიანისადმი კეთილგანწყობილი.
- გ) სად უფრო იოლად იწვრთნება დელფინი.

6. რას ვიგებთ ტექსტის ბოლო აზრებიდან?

- ა) რა მიზნით გაწვრთნეს დელფინები.
- ბ) როგორ წვრთნიან დელფინებს.
- გ) როდის მოიშინაურეს დელფინები.